ლუდუკი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი * № 1 (68) 31 იანვარი 2012 წელი

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების რანჟირება პოპულარობისა და პრესტიჟის მიხედვით.

ყველაზე პოპულარული სასწავლებელი აღმოჩნდა: საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

http://researchgeorgia.org/2011/05/24/უმაღლესი-სასწავლებლების/

ამა წლის 21 იანვარს ჩვენს უნივერსიტეტს ეწვია ბრიტანეთის ნაციონალური სტუდენტური ფესტივალის (National Student Drama Festival) დირექტორი ჰოლი ქენდრიქო და სელექციონერი დევიდ ნიუმანი.

ახალგაზრდული დრამის ფესტივალი 57 წელია არსებობს. წელს იგი საერთაშორისო გახდა. ფესტივალის საერთაშორისო დონეზე გასვლა დაკავშირებულია იმასთან, რომ წელს ბრიტანეთში იმართება ოლიმპიური თამაშები. ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად 150-მდე განცხადება იყო შემოტანილი. ჰოლი ქენდრიქო და დევიდ ნიუმანის სტუმრობის მიზეზი, რეჟისორ გიორგი შალუტაშვილის ჯგუფის სადიპლომო ნამუშევრის – „ჩემი ქალაქი“ – ნახვის ინტერესი გახლდათ. ეს სპექტაკლი, სხვადასხვა ქვეყნის ასორმოცდაათამდე სტუდენტური სპექტაკლების წარდგენილი ნამუშევრებიდან, იმ 22 სპექტაკლს შორის მოხვდა, რომელიც საბოლოო სელექციის შედეგად (მოგეხსენებათ, რომ ფესტივალში 20 წარმოდგენა მიიღებს მონაწილეობას) 2012 წლის ივნისის თვეში საერთაშორისო სტუდენტურ ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას. უკვე შერჩეულია სპექტაკლები კანადაში, ზამბიაში, მიმდინარეობს შერჩევა პეტერბურგში და აფრიკის კონტინენტზე. საბოლოოდ, ამ 22 სპექტაკლიდან შეირჩევა 20, გაიმართება 200-ზე მეტი ვორქშოფი, სადაც მონაწილეობას მიიღებენ პროფესიონალი ხელოვანები მთელი მსოფლიოდან. ორგანიზატორების მიზანია განავითარონ და პოპულარიზაცია გაუწიონ ფესტივალს, დააკავშირონ სტუდენტები პროფესიონალურ სამყაროს, ხელი შეუწყონ ახალგაზრდებს შორის ურთიერთობის განვითარებას.. დიდ ბრიტანეთში ძალიან ძვირია განათლების მიღება.

დევიდ ნიუმანი: მინდა გაგიზიაროთ ჩემი პირადი გამოცდილება ფესტივალთან დაკავშირებით. მე ვარ ერთ-ერთი წარმომადგენელი იმ ჯგუფისა, რომელიც ჰოლის ეხმარება ფესტივალისთვის სპექტაკლების შერჩევაში. ჩვენ ყველანი დაკავებული ვართ თეატრის სფეროში, ვართ პროფესიონალები. მე პირადად რეჟისორი ვარ. ყველას გვაქვს პერსონალური დამოკიდებულება ამ ფესტივალთან. დიდი ხნის წინ, როდესაც მე ვიყავი სტუდენტი, სწორედ ამ ფესტივალისთვის დადგმულ სპექტაკლში მივიღე

მონაწილეობა და ეს იყო ჩემი პირველი პროფესიული გამოცდილება. ძალიან ბევრმა დრამატურგმა, რეჟისორმა თუ მსახიობმა ამგვარად დაიწყო თავისი საქმიანობა. 57 წელია ტარდება ეს ფესტივალი, ეს არის ყველაზე ღია კრეატიული პროცესი, სადაც ყველა ადამიანს ამოძრავებს მხოლოდ სიყვარული თავის საქმისადმი, რაც რეალურად ქმნის ქსელს. სწორედ ამ გამოცდილებამ ეროვნულ დონეზე მოგვცა საშუალება წელს პირველად გავიცნოთ და გავუზიაროთ ეს ყველაფერი საერთაშორისო საზოგადოებას, იმედია დაიწყება ქსელური სამუშაო.

მტრის ნიღაბი

რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე, ორი ერთნაირად გამოწყობილი მამაკაცი გამოჩნდება. ისინი ერთმანეთს წარადგენენ, ისმის სროლის ხმა, შუქი ნელ-ნელა ქრება და გაგი სვანიძისა და ბესო ზანგურის შესანიშნავი დუეტი იწყება. მაყურებელი არ კარგავს შეგრძნებას რომ თეატრშია. მის წინაშე კი მალე ძალიან ჩახლართული, საინტერესო და უცნაური ამბავი გაცოცხლდება. ბელგიელი მწერლის ამელი ნოტომის ეს ნოველა უკვე ხუთი წელია, რაც რუსთაველის თეატრში იდგმება. საქმე ეხება ადამიანის ფსიქიკაში გამუდმებულ ბრძოლას ცნობიერსა და არაცნობიერს შორის, ანდა გნებავთ, კეთილსა და ბოროტს შორის. ეს არის თემა, რომელიც ნებისმიერ სივრცეში, ნებისმიერ ეპოქაში აქტუალური და დამაფიქრებელია.

ერთმოქმედებიანი სპექტაკლის რეჟისორი რობერტ სტურუა გახლავთ. „მტრის ნიღაბი“ შესაძლოა განვიხილოთ ფსიქოლოგიური დრამის ჟანრში, რომელსაც მცირე ირონია და შავი იუმორი დაჰკრავს. აქტიორულად სპექტაკლი საკმაოდ რთულია, რადგან ერთმოქმედებიან სპექტაკლში მთელი დატვირთვა ორ მსახიობზე მოდის, რომლებიც გასაოცარ რიტმში თამაშობენ. სპექტაკლი არ არის სანახაობრივი. გადაწყვეტილია მინიმალური დეკორაციით და ფაქტობრივად, მთელი დადგმა წარმოადგენს მძაფრ დიალოგს ორ მსახიობს შორის, თუმცა ამისდა მიუხედავად, მაყურებელი ბოლომდეა ჩართული სპექტაკლში და მსახიობები ერთი წუთითაც არ აძლევენ მას მოდუნების საშუალებას. რეჟისორი მაყურებელს სერიოზულ ამოცანას უსვამს. ის უნდა გაერკვიოს იმ დახლართულ სიუჟეტში, რომელიც სცენაზე ვითარდება. ჩასწვდეს გმირის სულიერ სიღრმეებს და იმავდროულად, ალბათ, საკუთარ სულსაც.

მაყურებლის წინაშეა ორი ადამიანი, სრული ანტიპოდი ერთმანეთისა. ერთი მათგანი ვიღაც შეშლილია, რომელიც საკუთარ თავს ტექსტორს უწოდებს. ერთ-ერთ მიზანსცენაში დარბაზში მსხდომთ მოუთხრობს, რომ ბავშვობაში იძულებული იყო მოევლო ბებიამისის კატებისათვის, რაც მისთვის საშინელ განცდებთან იყო დაკავშირებული. მაყურებელს უჩვენებს, თუ როგორი ზიზღით ურევდა სალაფავს, რომელსაც საშინელი სუნი ასდიოდა; თუ, როგორ სძულდა ეს საქმიანობა. ერთ დღესაც კი მასში გაიღვიძა რაღაც ველურმა ძალამ, რომელმაც აიძულა რომ კატების საჭმელი თავად ეჭამა, გემრიელად. გაგი სვანიძე აღგზნებული თვალებით, ხოხვით, ისე როგორც ნადირი მსხვერპლს, უახლოვდება სალაფავს და გააფთრებული დაეწაფება. იგი ძალიან ცოცხლად ასრულეს ამ სცენას, რომელიც ნამდვილად ასე შემაძრწუნებელი და ზიზღის მომგვრელია. ამ მიზანსცენით, მსახიობი და რეჟისორი გვიჩვენებს იმას, თუ როგორ გადაიქცა ადამიანი ცხოველად, როგორ დარჩა შიშველი ინსტინქტების ამარა. ეს საწყისი ადამიანში დასაბამიდან დევს... როცა შინაგანად იღვიძებს რაღაც ამოუცნობი, რაღაც უმართავი და შემზარავი. ტექსტორი ბოროტმოქმედია, ტრავმირებული და ინსტინქტების ამარა დარჩენილი ადამიანი, რომელსაც უამრავი საშინელი მოგონება, კომპლექსები ტანჯავს. ამასთან, მოძალადეა და მკვლელი. უყვარს თავად სიკვდილი... საყვარელ არსებას საფლავის ქვაზე დახატულ გარდაცვლილს ადარებს. სიკვდილი მისთვის ამაღლებული და მომხიბლავი ცნებაა. ფროიდის თეორიის მიხედვით, ქვეცნობიერში ჩაძირულია კომპლექსები, ფარული ლტოლვები, ტრავმები, შიშები და ა. შ. ამ განდევნილ ძალებს ფროიდი ეროტულ-თანატურ ანუ სიკვდილ-სიცოცხლის ძალებს უწოდებს, რაც სექსუალურ-აგრესიულ მოთხოვნილებებს გულისხმობს. პიესაში სწორედ ამ დომინანტ ძალებზეა მთავარი აქცენტი გაკეთებული. სპექტაკლში ერთ-ერთი საკვანძო სცენაა, როდესაც ტექსტორი ყვება, როგორ გააუპატიურა ახალგაზრდა გოგონა სასაფლაოზე. აქ ხაზი ესმევა ტექსტორის არსებაში ქვეცნობიერის მამოძრავებელ

დუბული

იმპულსებს. მოქმედ პირში ერთდროულად იღვიძებს სექსუალური და აგრესიული ლტოლვები.

ტექსტორისგან განსხვავებით, ჟერომი რაციონალური, გაწონასწორებული, მოწესრიგებული ადამიანია, წარმატებული ბანკირი და პატიოსანი მოქალაქე. სპექტაკლის დასასრულს, ტექსტორსა და ჟერომს შორის ბრძოლაა გამართული, სამრეკლოს ზარებისა და მკვეთრი განათების ფონზე. ეს, ძალიან მარტივი, პირდაპირი მეტაფორაა ჭიდილისა – ადამიანის ცნობიერსა და არაცნობიერს შორის. ტექსტორი ნელ-ნელა ააშკარავებს ყველაფერს. იგი იხდის პერანგს, ფეხსაცმელს და შავი სამოსის ამარა რჩება. ბოლომდე აშიშვლებს თავის სამყაროს და ამის ხაზგასასმელად სამოსისგანაც თავისუფლდება. ირკვევა, რომ ორივე პერსონაჟი, სინამდვილეში ერთი ადამიანია. ტექსტორი თავადაა ჟერომის არაცნობიერი, რომელსაც საგულდაგულოდ აქვს დათრგუნული და არაცნობიერში ჩაძირული საკუთარი სურვილები, კომპლექსები, დანაშაულებები. თუმცა, ამას ბოლომდე ვერ ახერხებს, რადგან შიგნიდან ღრღნის ჩადენილი დანაშაული, მიჰყავს სიგიჟემდე და საკუთარი თავის მსხვერპლი ხდება. ჟერომი ამ ბრძოლას ორაზროვანი ფრაზით ასრულებს: „თავისუფალი ვარ!“, თუცა საკითხავია, რისგანაა ის თავისუფალი? მაყურებელმა შესაძლოა იფიქროს: იქნებ ტექსტორისაგან? მაგრამ, არა, – ჟერომი, პირველ რიგში, თავისი თავისგან თავისუფლდება, – უერთდება საკუთარი ფსიქიკის უარყოფილ ნაწილს და თავისუფლდება სინდისისაგან, მტანჯველი მოგონებებისა და შინაგანი გაორებისგან. ჟერომ-ტექსტორი მკვდარია!

აქტიორული ნამუშევრის კულმინაციაა სცენა, სადაც ტექსტორი ყვება, როგორ მოკლა იზაბელი. აქ, სვანიძე განსაკუთრებულად მოქნილი და პლასტიკურია, თუმცა უნდა ითქვას, რომ მსახიობს ეს, არც სხვა სცენებში აკლია. განსაკუთრებული, ცოცხალი რიტმით ყვება და შემაძრწუნებლად წარმოაჩენს მკვლელობის დეტალებს. აქ, მისი მოზღვავებული აგრესია, მასში დაბუდებული ბოროტი ძალა მწვერვალს აღწევს. გაგი სვანიძე ამ ყველაფერს გააფთრებული, აგზნებული თვალებითა და ხმის ტემბრით გადმოსცემს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი იმ ახალგაზრდა მსახიობთა მცირე რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც სრული პასუხისმგებლობით ეკიდებიან როლზე მუშაობას. ტექსტორის განსახიერებისას თავს არ ზოგავს და საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს ავლენს სცენაზე. საკმაოდ რთულია შეასრულო ისტერიული ადამიანის ტიპი ისე, რომ არ გადაამეტო, არ დატოვო ხელოვნურობის შთაბეჭდილება. იგი სრული სიზუსტით გადმოსცემს გმირის ხასიათს. ბოლომდე გაანალიზებული და მორგებული აქვს თავისი როლი. რასაც ვერ ვიტყვი ბესო ზანგურზე. მის შესრულებას რაღაც აკლია... არ ვიცი ამას გამბედაობა დავარქვა თუ რაიმე სხვა, თუმცა მისი გმირი არ არის დამაჯერებელი და გულწრფელი. მისი შესრულებით უკმარისობის გრძნობა გრჩება, თითქოს, მსახიობი ზოგავს საკუთარ ემოციებს და მოკლებულია ბუნებრიობას.

დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ „მტრის ნიღაბი“ უდავოდ გამოირჩევა სხვა სპექტაკლებისაგან. მაყურებელი შინაგანად ცარიელი არ ტოვებს დარბაზს და თან მიაქვს დიდი ემოცია და ასე ვთქვათ, „მასალა“ იმისათვის, რათა იფიქროს საკუთარ სულზე... იქნებ აღმოაჩინოს კიდეც თავის თავში ტექსტორი... ტექსტორი რაღათქმაუნდა მსუბუქ ფორმებში!... ეს სპექტაკლი უფრო მეტად, ალბათ ინტელექტუალ მაყურებელზეა გათვლილი, რომლისთვისაც სულერთი არ არის წარმოდგენის სათქმელი, მისი მხატვრული ღირსება; განსხვავებით იმ კატეგორიის მაყურებლისაგან, რომლისთვისაც მომხიბლავია მხოლოდ ვიზუალური მხარე, კოსტიუმების მრავალფეროვნება, მსახიობების გარეგნობა და სპეც-ეფექტები, რომლითაც აღნიშნული სპექტაკლი ნამდვილად არ გამოირჩევა. ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ვერ დაიკვეხნის თეატრალური აზროვნების მაღალი კულტურით. თუმცაღა, საბედნიეროდ, ალბათ ყოველთვის იარსებებს მაყურებელი, რომელიც სწორად აღიქვამს და შეაფასებს ნანახს.

როგორც ყოველთვის, რობერტ სტურუა, მისთვის ჩვეული ირონიით მსჭვალავს წარმოდგენას. მთავარი როლების შემსრულებელი ორი მსახიობის გარდა, სპექტაკლში კიდევ სამი მოქმედი პირი შემოჰყავს. ისინი, ხან პოლიციელებად გვევლინებიან, ხან რომელიღაც ხმაურიანი შოუს კონფერანსიეებად. ეს სამეული (მამუკა ლორია, არჩილ ბარათაშვილი, ბაჩო ლეჟავა), დამდგმელის ნებით, თითქოს კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ, სახიერად შეგვახსენებს, რომ ცხოვრება, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, თამაშია და ჩვენ, განგებისა თუ ბედისწერის ნებით, მასში ჩართული კომედიანტები ვართ, რომლებიც, ჩვენდაუნებურად, იაფფასიანი, გასართობი შოუს მოქმედ პირებად ვართ ქცეულნი.

თეატრმცოდნეობის III კურსი
ნინო კენჭაძე

ოქტომბრის ოქტო

და გრძელდებოდა ცხოვრება

ცა მოწმენდილი და ოპალისფერი იყო, მის ფონზე გახუნებული სახურავები ძველმანებზე შეძენილ ანტიკვარულ ნივთებს წააგავდნენ. ამ ცისქვეშეთში, სადღაც მიწისგულზე ვიღაცას ვიღაცა უყვარდა... ვიღაცას ვიღაცა სძულდა... სადღაც იყო დაკრძალვა და სადღაც ქორწილი. სადღაც სწყინდათ და სადღაც უხაროდათ.

სადღაც მიდიოდნენ... სადღაც რჩებოდნენ, მარტო რჩებოდნენ...

პატარა გოგონებს ძილის წინ ბებიები ზღაპრებს უყვებოდნენ. ამ გამოგონილ ამბებში იყო რაღაც ცხოვრებასავით მართალი და კანონივით აუცილებელი და ისეთი წმინდა და ფაქიზი, რომ ჩაძინებული გოგონები თავიანთ სიზმრებში თეთრ ცხენზე ამხედრებულ პრინცებს, პაწაწინა კეთილ ჯუჯებს და ხანდახან ბოროტ ჯადოქრებსაც კი ხვდებოდნენ.

ეს იყო მათი პირველი შეხვედრა ცხოვრებასთან.

სადღაც ცისქვეშეთში ციოდა, იქ სანტას არსებობის სჯეროდათ.

სადღაც ცისქვეშეთში თბილოდა და პირველ ყვავილებს ელოდნენ.

სადღაც ცისქვეშეთში გრილოდა და ოქროსფერ ხალიჩას დაეფარა მთელი დედამიწა.

სადღაც კი ცხელოდა, მაგრამ ადამიანებს მათ შიგნით, ღრმად, მაინც ძალიან სციოდათ...

ამ ცისქვეშეთში სადღაც მიწისგულზე ვიღაცა ვიღაცას ელოდა... ვიღაცა ვიღაცაზე ფიქრობდა... პატარა გოგონებსაც ძილის წინ მოყოლილი ამბების მთელი გულით სჯეროდათ. თვალებში ჩამდგარი ცრემლივით ნისლიანი იყო ქალაქი. ჩვენ ვსვამდით ჩაის. მე ყოველთვის ერთი კოვზი შაქრით, შენ – ორით. ძილის წინ ერთიდაიმავე წიგნს ვკითხულობდით. შენ ასსამოცდამეხუთე გვერდზე იყავი, მე – სამოცდამეთხუტმეტეზე...

ამ ყინულისფერ, ზამთრის საღამოებში მონიტორის წინ პლედშემოხვეულები ვუყურებდით საყვარელ კომედიას და ერთსადაიმავე ადგილას გვეცინებოდა...

მერე მე ვწვებოდი და გაღვიძებულს ძალიან მინდებოდა შენს თვალებში ჩახედვა. შენც წვებოდი და გაღვიძებული ყოველთვის მას უყურებდი თვალებში – იქ მე მეძებდი...

ცა მოწმენდილი და ოპალისფერი იყო, მის ფონზე გახუნებული სახურავები ძველმანებზე შეძენილ ანტიკვარულ ნივთებს წააგავდნენ.

ამ ცისქვეშეთში, სადღაც მიწისგულზე ვიღაცა ვიღაცას ელოდა... ვიღაც მიდიოდა და აღარ ბრუნდებოდა. ვიღაც კი რჩებოდა, მარტო რჩებოდა...

და გრძელდებოდა ცხოვრება.

Be my November

...გუშინ ვიჯექი და ვითვლიდი. სამი თვეა ერთად ვართ. სულ რაღაც 90 დღე... 129600 წუთი... 777600 წამი...

არ ვიცი ამ წერილს რატომ გწერ. ალბათ იმიტომ , რომ გითხრა რა ბედნიერი ვარ მაშინ, როცა შენს პერანგში გამოწყობილი გაღვიძებამდე ყავას გიმზადებ. როცა კინოდარბაზის ბოლო რიგებში ზუსტად ისე ვკოცნით ერთმანეთს, როგორც ეკრანზეა. როცა ავად ხარ და შენზე ვზრუნავ. როცა მეც ავად ვარ და ჩემი საყვარელი შოკოლადები ამოგაქვს და მანამ მეფერები სანამ არ გადაგეღება...

ამ სამი თვის მანძილზე ყველაზე უბედური წინა კვირას ვიყავი. მახსოვს გული წამივიდა და გონს მოსულმა შენს ბედნიერ თვალებში ახალი სიცოცხლის მოლოდინი დავინახე. ასეთი უბედური და უმწეო არასდროს ვყოფილვარ, არც მაშინ, როცა ზურამ მითხრა, – ეს ჩემი უკანასკნელი ნოემბერი იქნებოდა და არც მაშინ, როცა გავიაზრე, რა ცოტა დრო დამრჩა შენთან ყოფნისთვის და რა უსაშველოდ ბევრი – უშენოდ...

შენ შეიძლება ქუჩაში გახვიდე და რომელიღაც საბავშვო მაღაზიის ვიტრინაში გამოფენილ პაწაწინა ქუდებს და წინდებს ბედნიერი სახით გახედო... მე კი, კიდევ უფრო სწრაფად ჩამოვირბენ კლინიკის კიბეებს, რადგან ახლა უკვე ვიცი, რომ ყოველი წამი ძვირფასია. კლინიკის სადაც ზურა ექიმი მუშაობს. მის ცივკედლებიან, ბამბის და სიკვდილის სუნით გაჟღენთილ დერეფნებში სერიოზული სახით დააბიჯებს და ამ "ზეციური სასამართლოს" ფანჯრებს მიღმა ჩემთვის და ჩემნაირებისთვის საბოლოო განაჩენი გამოაქვს...

იცი დღეს პირველად წამოვიდა თოვლი. წელს პირველად. ვიჯექი და ფანჯრიდან ვუყურებდი. დიიდხანს დიიდხანს ვუყურებდი... მინდოდა თითოეული ფიფქი დამემახსოვრებინა, ეს ხომ უკანასკნელი თოვლია ჩემს ცხოვრებაში.

მაპატიე, რომ შენთვის არასდროს მითქვამს როგორ მიყვარხარ. რომ შემეძლოს ყოველწამს თავიდან შეგიყვარებდი. ახლა ვხდები როგორ ძალიან გინდოდა ჩემგან ამის მოსმენა, ისევე როგორც მე მინდა მითხრა, რომ ჩემი ნოემბერი იქნები...

იყავი რაა...

I am protesting ანუ служебный роман და ლექციაზე მიტანილი თავისუფალი თემა...

... ვცდილობ გავიხსენო პირველად როდის გამიჩნდა პროტესტის გრძნობა... ეს ალბათ ჯერ კიდევ მაშინ იყო, როცა დედამ საბავშვო ბაღში სრულიად უცნობ ადამიანებთან დამტოვა, მახსოვს დიდხანს, ძალიან დიდხანს ვიჯექი ერთ პატარა ხის სკამზე რომელიც სათამაშოს უფრო გავდა ვიდრე ნამდვილს და ველოდი... რამოდენიმე საათის შემდეგ ჩუმად მოიპარა, ფუნთუშის დატოვება და უკან გაპარვა უნდოდა, მაგრამ არ გამოუვიდა! როგორც კი დავინახე მთელ ხმაზე ღრიალი მოვრთე და ეს იყო ჩემი პირველი პროტესტი.

წლებთან ერთად პროტესტის გრძნობაც მატულობდა. აი მაგალითად, დაახლოებით მესამე-მეოთხე კლასში ვიყავი ჩემზე შეყვარებული სადისტი კლასელი, დედაჩემის დაქალის შვილი რეზიკუნა ჩემს უკან მერხზე, რომ მოკალათებულიყო და საგულდაგულოდ დაწნილ კიკინებს მწიწკნიდა, ამას გარდა დასვენებებზე ჩუმად მეპარებოდა, თმის რეზინს თავიდან მგლეჯდა და სადღაც უგვზოუკვლოდ მიარბენინებდა, მე დაჭერობანას თამაში დიდად არ მხიბლავდა, თან მაშინ არც ქუსლიანებზე მეცვა და შემეძლო თავისუფლად მერბინა, მაგრამ თავი დიდ ქალად მომქონდა და აბა ამ ღლაპს ხო არ გავეკიდებოდი რეზინის გამო?! მიუხედავად იმისა რო არ მირბენია შესანიშნავად მახსოვს ეს სადომაზოხისტური ურთიერთობა რამხელა პროტესტს იწვევდა ჩემში.

მერე უცებ რაღაცნაირად გავიზარდე... აღარც რეზიკუნა მახსოვდა , აღარც თმის რეზინი... აღარც ბაღში დატოვებული ბულკები... მაგრამ პროტესტი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა, ის ყოველთვის ჩემთან იყო და ჩემი იყო. აი მაგალითად დღეს უდიდესი პროტესტის გრძნობით გავიღვიძე! ხომ შეიძლებოდა ახლა ამ თემის კითხვის მაგიერ ჩემს საყვარელ, ფუმფულა ლოგინში მწოლიარეს ფერად-ფერადი სიზმრები მენახა... ბატონმა ზურამ კიდევ უნდა გადასწიოს საათები , რომ კარაგდ გამოძინება მოვასწრო, თვალების ქვეშ რგოლები არ მქონდეს და ლექციაზეც არ ჩამეძინოს, თუმცა ქალბატონო ლიკა თვენს ლექციაზე როგორ შეიძლება ვინმეს ჩაეძინოს...

რადგან დღეს პროტესტზე ვსაუბრობთ, მინდა სამსახურებრივი რომანის თემას შევეხო, რატომღაც თითქმის ყველა პროტესტის გრძნობით არის ასეთი ურთიერთობის მიმართ განწყობილი. სამსახურებრივი რომანი კი თავისმხრივ სათავეს ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ინგლისში იღებს, ზუსტად იმ დროიდან როცა ერთ სოფლის მკვიდრ, პატარა შეუხედავ გოგონას დედმამა დაეხოცა და მკაცრი ბიცოლასა და ბოროტი ბიძაშვილების ამარა დარჩა, ნათესავებმა გოგონა მოიშორეს და პანსიონში გაუშვეს სასწავლებლად, პანსიონის დამთავრების შემდეგ მან აღმზრდელად დაიწყო მუშობა, სადაც საკუთარი ბოსი შეუყვარდა და აქტიურად შეუდგა მასთან ფლირტს... ალბათ ყველანი მშვენივრად ხვდებით , რომ შარლოტა ბრონტეს არაჩვეულებრივ რომანზე "ჯეინ ეარზეა" საუბარი... ისტორიის გაგრძელება კი ასეთია: ერთმა გოჯმა და გადარეულმა გოგომ ერთიანი ეროვნული გამოცდების წყალობით უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარაა და ერთ ნახევრადდანგრეულ, ოთხსართულიან შენობაში ამოყო თავი უზნაძის ქუჩაზე... გოგონა საკმაოდ ბეჯითი სტუდენტი იყო და ლიკას ლექციებზე დავალებების გარეშე არასდროს მოდიოდა, ამ ყველაფრის პარალელურად მას აქტიურად ეპრანჭებოდა ზუსტად იმავე შენობაში, იმავე სართულზე მომუშავე ბიჭი... აქ კი ისტორია წყდება... ვიცი ყველას ძალიან აინტერესებს დასასრული ან მოვლენების შემდგომი განვითარება მაინც, მაგრამ ასეთ რისკზე ვერ წავალ, იმიტომ რომ შეიძლება მეც გამაგდონ და ჩვენი სამსახურებრივი რომანის მთავარი გმირი ბიჭუნაც ზედ მომაყოლონ...

პროტესტის თემას დღეს ამით ვასრულებ. თქვენ კი ყველას გისურვებთ არასოდეს დაგჭირვებოდეთ პროტესტის გამოხატვა და არც არავისი პროტესტი დაგემსახურებინოთ...

მარიამ გიგუაშვილი

გახსენება

ცასწავალა

მწერალი, სცენარისტი, კინორეჟისორი, – სამივე მათგანი ერთიანდება მაგიურ სახელში, – გოდერძი ჩოხელი. ადამიანი, რომლის ნაწარმოებები და ფილმები ერთ მთლიანობას ქმნის და ზნეობის, ადამიანობის, სიკეთისა და მშვენიერების ნიმუშს წარმოადგენს. ამბობენ, ყველაფერი გენიალური უბრალოაო. სწორედ ასეთი უბრალოებით შესძლო მან თითოეულ მკითხველსა თუ მაყურებელში დაეტოვებინა კვალი, რომელიც ხელახლა მიგაბრუნებს მის შემოქმედებასთან.

პატარა ისიც ჩვეულებრივი ბავშვი იყო, მასაც ათასნაირ ზღაპარს უკითხავდნენ ძილის წინ... სჯეროდა, რომ სადღაც შორს უღრან ტყეში ჭინკები ცხოვრობდნენ, თუმცა ისიც კარგად იცოდა რომ მხოლოდ და მხოლოდ სიკეთე იმარჯვებდა.

შემოდგომა იყო, ციოდა.... დედას მდინარის გაღმა სახლი დაუნახავს და იქ მისულა... მწყემსების საცხოვრებელი აღმოჩნდა, თუმცა მშობიარე სახლში მათაც არ შეუშვიათ... არ შეიძლებოდა.... რას წარმოიდგენდნენ მწყემსები, რომ იმ მომენტში ის ადამიანი იბადებოდა, რომელიც სიცოცხლეშივე მითად იქცა; მშობიარე გომურში შესულა და ღამე იქ გაუტარებია. ბურსაჭირიდან ჩოხში მხოლოდ 40 დღის შემდეგ დაბრუნებულან. ასე წვალებით



დაიბადა ქართველი ხალხის დარდების ყველაზე დიდი შემგროვებელი ადამიანი, რომელმაც მთელი საქართველოს ტკივილი საკუთარ გულში გაატარა... გოდერძი ჩოხელი გზაზე დაიბადა და მას შემდეგ სულ სადღაც ეჩქარებოდა, ყოველთვის უნდოდა მოესწრო ნაფიქრის, ნააზრევის, ნაოცნებარის ქაღალდზე გადატანა, ფილმად, მოთხრობად, ბოლოს კი – ლექსებად ქცევა.

თბილისში სწავლის გასაგრძელებლად ჩამოვიდა. ჩამოვიდა და სულით თავისი ჩოხი ჩამოიტანა. აბა, რას ჩამოიტანდა, თავისი კუთხის იქით ჯერ მისხალიც არ ჰქონდა ნანახი. სამაგიეროდ, რაც ჰქონდა განცდილი, ყველაფერი გულის ფიცარზე ეწერა: უყვარდა ბერი და ჯღონა, მათი სახით უყვარდა ის უცნობი გლეხებიც, სადღაც შორს, მაშინ მისთვის უცნობ გურიასა თუ სამეგრელოში, სვანეთსა თუ იმერეთში რომ ცხოვრობდნენ. უყვარდა არაგვი, საქართველოს სხეულზე ცრემლად დადენილი – ამღვრეული და გიჟმაჟი, მდორე და მოლივლივე... უყვარდა სიცოცხლე და ამ სიცოცხლით უყვარდა ყველა ადამიანის არსებობაც მზისქვეშეთში.

გუდამაყრის ზღაპრულ ბუნებაში გაზრდილს უძნელდებოდა ბარად ცხოვრება. მთებს ეთაყვანებოდა, სული მთებით ედგა. „ლამაზი ისაა, კლდეს რომ შეერევი, სუნთქვას რომ გაატან ნიავს...“, – ამას ფიქრობდა და მუდამ ნატრობდა, ოცნებობდა, ხვდებოდა, რომ თბილისისთვის არ იყო დაბადებული, აქ მისი სული ვერ ლაღობდა. თბილისი ყოფილა ჩემი ბედისწერაო, – დანანებით ამბობდა და ამ ბედისწერას ვერსად გაჰქცეოდა. თუმცა გოდერძი ჩოხელი უბედური არ ყოფილა. სიმდიდრე და უზრუნველი ცხოვრება არასოდეს ჰქონია, მაგრამ მზისა და მთვარის ქვეშ, რასაც მისი თვალი მისწვდებოდა, ყველაფერი მისი არ იყო?!.... სამზეოს იყო და ყველაფერი უყვარდა.

პირველად ფილმი ჩოხში ნახა... როგორც თავად იხსენებდა, კინოთი მაშინვე მოიწამლა, როცა პირველად მეოთხეკლასელმა ნახა მშობლიურ სოფელში და ეკრანიდან თავისი სახელი გაიგონა – გოდერძი, შვილო, გოდერძი! მაშინ არ იცოდა, რომ უბრალოდ ჯარისკაცის მამა თავის შვილს ეძახდა. კინოს სიყვარულმა თეატრალურ ინსტიტუტში მიიყვანა გამოცდაზე, სადაც რუსული ფილმი უნდა გაერჩია. მან კი რუსული არ იცოდა, ცარიელი ფურცლების ჩაბარების შერცხვა და ლექსი დაწერა ირემზე, რომელიც ბარში ჩამოვიდა და დაჭრეს, არწივი და შვლის ნუკრიც შეურია, ყველა მათგანში კი, რა თქმა უნდა, საკუთარი თავი იგულისხმა. სწორედ ამ ლექსმა გადაწყვიტა მისი ბედი. ქალაქში უმალ გავრცელდა ამბავი, – მთიდან პატარა ვაჟა-ფშაველა ჩამოსულა და გამოცდაზე ფილმის გარჩევას ლექსად წერსო. თეატრალური ინსტიტუტის მაშინდელმა რექტორმა უთხრა: მიგიღებთ, ოღონდ ქალაქმა არ გაგაფუჭოსო. ქალაქმა ვერ გააფუჭა გოდერძი ჩოხელი. მის მოთხრობებში, ლექსებსა თუ ფილმებში ბოლომდე შემორჩა სამშობლოს, ბუნების, ადამიანის სიყვარული. ამიტომ წარმატებამაც არ დააყოვნა. პირველი გრან-პრი საკურსო ნამუშევარმა „ადგილის დედამ“ მოუტანა ობერჰაუზენის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალზე. მოგვიანებით იყო „ვერცხლის ნიმფა“ ფილმისათვის „ცოდვის შვილები“ 1991 წელს. იმავე წელს მიიღო იაპონიის კინოფესტივალის ჟიურის სპეციალური პრიზი, პრიზები საუკეთესო სცენარისა და რეჟისურისათვის – თბილისის „ოქროს არწივის“ ფესტივალზე 1992 წელს. გრან-პრი ანაპის ფესტივალზე „კინოშოკი“ – ფილმისათვის „სამოთხის გვრიტები“ (1997 წელი). ამავე ფესტივალზე 1998 წელს „ლუკას სახარებამ“ აიღო პრიზი საუკეთესო სცენარისათვის. მისი პირველი წიგნი „წერილი ნაძვებს“ 1980 წელს გამოიცა. მას მოჰყვა: „ბინდისფერი ხეობა“, „ადამიანთა სევდა“, „შემინახე, დედაო მიწავ...“

გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაზე დიდი გავლენა ვაჟა–ფშაველას ჰუმანიზმმა მოახდინა, ამიტომ მის ფილმებში მკვეთრი ფერებით დახატული რეალობა მაინც ყოველთვის კაცთმოყვარეობისა და მიმტევებლობის უდიდესი განცდით აღიქმება. როგორც ჭეშმარიტი შემოქმედი, გოდერძი ჩოხელი ჯერ თავად განიცდიდა და გრძნობდა საკუთარი გმირების ადამიანურ ბუნებასა და სამყაროში ჰარმონიისკენ სწრაფვის წყურვილს.

წერა 1977 წელს დაიწყო.. გოდერძი ჩოხელის შთანგონების წყარო ქართული მთის უმშვენიერესი იდუმალება და ჰეროიკული სული გამხდარა... მისგან ქმნილი მხატვრული ტილოებიდან მოვიდა ჩვენამდე მთის ხეობათა ნისლებში მფეთქავი ადამიანთა სიბრძნეცა და მწუხარებაც... ისინი თითქოს ცოხვრების უზარმაზარი ლოდიდან ჩამოტეხილი ნამსხვრევები არიან, ხელოვანის სულის მოძრობით რომ შეიძინეს უცნაური და დაუვიწყარი ფორმები.

მუდამ სევდას უტრიალებდა, მაგრამ ამ სევდის გარდა, საოცრად ლამაზად გვაწვდიდა სიყვარულს, სიკეთეს და სიცოცხლის წყურვილს. გოდერძი ჩოხელი თვითონ იყო დარდების შემგროვებელი და ამ სევდის ლამაზ მოთხრობად, არანაკლებ ლამაზ ფილმად და გულშიჩამწვდომ ლექსებად გადამკეთებელი. ლექსი გარითმული სტრიქონისთვის არასოდეს დაუწერია. ლექსით ჩოხელი ერის ტკივილზე, სიყვარულზე, მოლოდინზე ცდილობდა ლაპარაკს. ჯიუტად კი წერდა, მაგრამ, ბოლოს განსკუთრებით განიცდიდა სიკვდილის სიახლოვეს, თითქოს, ხედავდა კიდეც მას, ფეხდაფეხ ადევნებულს. ეს მის ლექსებსაც დაეტყო. წუწუნი არ სჩვეოდა, როგორც მთის შვილს შეეფერება: მუდამ ახერხებდა, სიკვდილზე წერა ისე საინტერესოდ შეეფუთა, რომ მკითხველს ლექსების წაკითხვისას სიკვდილზე კი არა, იმაზე ეფიქრა, რასაც პოეტი ჰყვებოდა.

მისი მოთხრობების გმირები ძირითადად საქართველოს ერთ-ერთი ულანმაზესი კუთხიდან – გუდამაყრიდან არიან... გუდამაყრელები ხშირად უნახავს მწერალს ჭირსა თუ ლხინში... უნახავს როგორ მოუთმენლად ელოდებიან ისინი გაზაფხულის მოსვლას... ხშირად გოდერძის გული მოთხრობების გმირების სახეზე ჩამოგორებულ ცრემლის კურცხალს დაუთუთქავს... ჩოხელის გმირები ნიღაბს ვერ ირგებენ და ვერც პირფერობას იტანენ. ისინი ზედმეტად გულუბრყვილონი და ახალშობილივით უსუსურნი არიან. არადა, თუკი თამაშს შესთავაზებენ, იმდენად ირგებენ როლს, რომ უჭირთ ხოლმე რეალობაში დაბრუნება.

გოდერძი ჩოხელი, განგებისაგან გამორჩეული უნარით დაჯილდოვებული მწერალი, ებაასება გუდამაყრის წარმტაც ხეობას; ბუმბერაზ მთებს, რომლებიც წყლის დასალევად ჩამოდიან ხოლმე არაგვზე; ამეტყველებს უტყვ არსებებს, რომელთაც ადამიანებივით ძალუძთ სიყვარული, თუმცა ზოგჯერ ადამიანებსაც აჭარბებენ თავიანთი „ადამიანურობით“.

ჩოხელის ნაწერებში გამუდმებულ ჭიდილში არიან სიკვდილი და სიცოცხლე. უთანასწორო ბრძოლა ხშირად სიცოცხლეზე სიკვდილით გამარჯვებით მთავრდება, მაგრამ ეს ერთგვარი ხერხია მწერლისა იმისათვის, რომ სიკვდილის გამარჯვების ჩვენებით მკითხველს უფრო მოაწყუროს და შეაყვაროს სიცოცხლის მარად მდინარი წყარო. მისი ლიტერატურული თუ კინოსამყაროს სულიერება სუფთა ქართულია, ერთი მხრივ, ეროვნული, მეორე მხრივ, – ზოგადადამიანურიც. ჩოხელი თავის თავში ატარებდა ორ სამყაროს: რეალურისა და ირეალურის, სააქოსა და საიქიოს, ზღაპრულისა და სინამდვილის, წარსულისა და მომავლის ზღვარზე მყოფი ადამიანის თვისებებს. დრო მასში უწყვეტად გაედინებოდა. ის თავად იყო სამყარო, რომელსაც უნდოდა ადამიანში თავისი თავი გადაერჩინა. გოდერძის უნდოდა მთელი სამყაროსათვის ეჩვენებინა თავისი საქართველო, რომელზეც გადიოდა გოდერძი ჩოხელის, ბედისწერასთან მოთამაშე ადამიანის, სიკვდილთან გაშინაურებული კაცის მარადიული ფასეულობების გზაწვრილი. „გუდამაყრის ხეობა დიდი წიგნია, მთები ყდებად აქვს ამ წიგნს და შიგნით უამრავი მოთხრობა სწერია. მზე და მთვარე მანათობლად მყვანან, ვზივარ ჩემთვის, გადაშლილი მაქვს ეს უცნაური წიგნი და ვკითხულობ.“ ჩვენ კი გულდასმით ვუსმენთ მწერლის მიერ მონათხრობ უცნაურ თავგადასავლებს ნაძვად, ირმად, თევზად ქცეული ადამიანებისას და თითქოს გვჯერა კიდეც, რომ ჩვენს ყოფაში მხარზე ნაძვამოსული ადამიანი შემოაბიჯებს.

ჩოხელის წიგნებში ვაჟასეული დიდი ჰუმანიზმი სამყაროს გმოუცნობ, მისტიკურ–ირეალურ აღქმასთანაა შერწყმული. ამიტომ რთულია რეალურისგან გაარჩიო მითიური, ზღაპრული, უცნაური და არნახული. თხრობის სწორედ ასეთი ორიგინალური მანერა გიზიდავს გოდერძი ჩოხელის ინდივიდუალურ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სამყაროში. აქ ადამიანობის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორებია: სიკეთე, სიყვარული, სათნოება და სისადავე. ამ სამყაროში გოდერძი „საკუთარი სულის ჰეპელას“ გადაჰყავდა. ძნელი წარმოსადგენია რას გრძნობდა და განიცდიდა მისი „სულის ჰეპელა“, როცა ჰუმანისტმა მწერალმა და რეჟისორმა თვითმკვლელობა სცადა. მაშინ გოდერძი ჩოხელი გადარჩა, თუმცა ძალიან რთული იყო მისი სულიერი მდგომარეობა, რომელსაც თვითგამოხატვისა და რეალიზების საშუალება აღარ ჰქონდა.

გოდერძი ჩოხელზე ახდა ერთი ცნობილი გამოთქმა, რომ რაც უფრო ნიჭიერია ადამიანი, მით უფრო უჭირს ცხოვრებისეულ სიავეებთან გამკლავება. ამ ინციდენტმა თითქოს გამოაფხიზლა ქართული ინტელიგენცია, რომელმაც მწერლის დეპრესიიდან გამოყვანა ერთეული ვიზიტებით სცადა. თუმცა კრიზისი, რომელიც მწერალს სიცოცხლის ბოლო წლებში თავს დაატყდა, მისი მგრძნობიარე, ადამიანური ბუნებისათვის მეტისმეტად მძიმე აღნოჩნდა. ვინც გოდერძი ჩოხელის შემოქმედებასა და ცხოვრების გზას ადევნებდა თვალს, ალბათ, არასდროს დატოვებს განცდა, რომ ქართველი საზოგადოება, ზოგადად, ქვეყანაც ვალშია მის წინაშე. ვერ მოვუფრთხილდით, ვერ დავაფასეთ და ვერც ვუშველეთ გოდერძი ჩოხელს. მართალია, როცა თვითმკვლელობა სცადა, თითქოს ყველა დაირაზმა და გამოვტაცეთ სიკვდილს, მაგრამ მწერალი ყველაზე კარგად გრძნობდა, რომ ცელიანი მსახვრალი შორს არსად წასულა და შორიახლოს ჰყავდა ჩასაფრებული.

„ვხედავ და მესმის, ცელის შრიალით, როგორ მიახლოვდება სიკვდილი. მეშინია. სიკვდილისა კი არა, იმისი მეშინია, ვაითუ ისე წავიდე ამ ქვეყნიდან, ჩემს შვილიშვილს ისე გავუპარტახო საქართველო, იის ძირ-თესლიც კი გავუწყვიტო სხვა ქვეყანაში საყიდელი გავუხადო იების თაიგული. მეშინია და თან იმედს ვიტოვებ, რადგან აქედან ვხედავ, რა გაღიმებული და ბედნიერი მოდის ჩემს საფლავთან ჩემი შვილიშვილი. საფლავზე ახალდამშრალ მზორეში მოკრეფილ იების კონას დადებს და მეუბნება: - აი, პაპა, მოგიტანე შენი საყვარელი იები! ღმერთო, ნუ მომიშლი ამ იმედს!“ – ასეთი წერილი მიწერა გოდერძიმ 2025 წლის საქართველოს მომავალს. საკუთარ თავს ვერ პატიობდა, რომ დაქუცმაცებულ სამშობლოს უტოვებდა შვილებს. მიმწუხრი კი დგებოდა, სულში შეუმჩნევლად სევდაც საღამოვდებოდა... სამანს იქითა სამყაროში უნდა გადასულიყო... დედამიწა ჩემი სულის გარშემო ბრუნავსო... გვითხრა და ყველანი შეგვაზანზარა...

გოდერძი ჩოხელმა ერთ წამში მიატოვა წუთისოფელი.... 2007 წლის 16 ნოემბერს 53 წლის ასაკში გარდაიცვალა. სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად, მაგრამ ჩვენ დავამსხვრიეთ იგი... მითები ხომ უკვდავები არიან... „ორი კითხვის ნიშანს“ – სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის ჭიდილი სიკვდილის გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ რატომ გამარჯვებით!? „კაცი სანამ ცოცხალია, არ მოკვდება, ხოლო თუ მოკვდება, აბა რაღასი უნდა ეშინოდეს, სიკვდილს იქით ხომ უფრო დიდი სიცოცხლეა.“ ის მცხეთაში სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში დაკრძალეს.

გოდერძი ჩოხელი უკვე რამდენიმე წელია, რაც „სულეთის ქვეყანაში“ გადავიდა, მაგრამ მისი შემოქმედება ოდნავადაც არ კარგავს აქტუალურობას. პირიქით, მის მიერ დატოვებული ნაწარმოებები თუ ფილმები თანდათან უფრო დასაფასებელი ხდება. გარდაცვალების შემდეგ მისი სახელი სწორედ ისე დარჩა, როგორც თავად წერდა ლექსში:

მე კი დავრჩები ქვეყანას
ჭრელ-ჭრული ყვავილივითა,
თავ-თმაზე შემოსაწნავად,
ნეფეონთ გვირგვინივითა,
სიკვდილ-სიცოცხლის შემკვრელად
ოქროს საამო მძივითა,
დავრჩები გასახსენებლად
ლამაზი სიკვდილივითა.

მარიამ ადამაშვილი